შობადობის თანამედროვე ტენდენციები თბილისი-რუსთავის აგლომერაციაში

გიორგი მელაძე
ნოდარ ელიზბარაშვილი
giorgi.meladze@tsu.ge
nodar.elizbarashvili@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, თსუ, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, II კორპ.

თბილისი-რუსთავის აგლომერაცია ძრითადად მდ. მტკვრის გასწვრივ მდებარეობს, იმ ადგილას სადაც რამდენიმე ისტორიული და ეთნოგრაფიული რეგიონის საზღვარი ხვდება ერთმანეთს. საქართველოს განსახლების სისტემაში დიდია აგლომერაციის როლი, იგი წარმოადგენს ერთგვარ ღერძს როგორც რეგიონული ასევე ტრანსნაციონალური თვალსაზრისით. აგლომერაცია შეიცავს ოთხ მუნიციპალურ ტერიტორიას (თბილისი, რუსთავი, მცხეთა, გარდაბანი).

აგლომერაციაში შემავალ ქალაქებში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარეობდა შობადობის მნიშვნელოვანი კლების პროცესი. დედაქალაქში 1995 წელს შზკ უპრეცენდენტოდ დაბალ ნიშნულამდე (10.3 ‰) შემცირდა. აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურ მონაცემებში 1990-2014 წწ. თბილისში დაბადებულთა რაოდენობა 11.2%-ით შემცირდა, ხოლო რუსთავში იგივე მოვლენა გაცილებით დიდ მასშტაბს აღწევდა (30.3%). ამ უკანასკნელში 2014 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის თბილისთან შედარებით მაღალი მნიშვნელობა განაპირობა ინ ფაქტმა, რომ განხილული დროის მონაკვეთში (1990-2015 წწ.) თბილისის მოსახლეობა შემცირდა 12.9%-ით, ხოლო რუსთავის მოსახლეობის კლებამ 22.6% შეადგინა. აღნიშნულ ფაქტს კოეფიციენტების გაანგარიშებისას თავისი კორექტივები შეაქვს. გარდაბანში და მცხეთაში 1990-იან წლების დასაწყისში, შობადობის ზოგადი კოეფიციენტები უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად მკვეთრად გაუარესებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, თავისი ასახვა ამ ორი ქალაქის შობადობის პროცესებშიაც ჰპოვა. 1990-1994 წწ. როგორც გარდაბანში, ასევე მცხეთაში მკვეთრად შემცირდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობები (შესაბამისად 10.1 და 8.1 პუნქტით). 1995-2003 წწ. გარდაბანში განხილული კოეფიციენტები უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის აღწარმოებას. რაც შეეხება მცხეთას 1995-2009 და 2011 წწ. აქ დაფიქსირებული შობადობის კოეფიციენტების მნიშვნელობები გარკვეულ განმარტებებს მოითხოვს. იგივე შეეხება გარდაბნის მონაცემებს 2004-2009 წწ. აღნიშნული დროის მონაკვეთებში განხილულ ქალაქებში, ჩვენს მიერ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობები არარეალურად გამოიყურებიან. მაგალითად, მცხეთაში 1995 წელს აღნიშნული კოეფიციენტი საეჭვოდ მაღალი - 53.3‰ იყო, ხოლო გარდაბანში 70.1‰ (2004), რაც არარეალურია. ყოველივე ეს იმჟამინდელი სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემაში არსებული უზუსტობებით უნდა აიხსნას. ინტერპოლაციის მეთოდის გამოყენებით, ავტორების მიერ გაანგარიშებულ იქნა შობადობის კოეფიციენტები, რომლებიც უფრო რეალურად ასახავენ სიტუაციას.

უკანასკნელ წლებში გარდაბანში და მცხეთაში შობადობის კლება-მატების პროცესი შეიმჩნეოდა. უახლოესი მონაცემებით (2014 წ.) შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობები გარდაბანში და მცხეთაში 15.2 და 13.4‰ შეადგენდა, რაც ნაკლები იყო თბილისში და რუსთავში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე.

მომზადებულია შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
№ FR /142/ 9 – 280 /13 სამევნიერო გრანტის ფარგლებში.